

Capadecor® ArteLasur

კედლის ლაზური, აკრილის ბაზაზე, თეთრი ნაწილაკებით.



მასალის აღწერა

გამოყენების სფეროები

სპეციალურად შექმნილი, მიმზიდველი კედლის ლაზური ინტერიერის კედლებზე გამოსაყენებლად. ლაზური შეიცავს ღია ფერის ნაწილაკებს, რომლებიც შეფერადებისას არ ირევა სხვა პიგმენტებში და ღია ფერის ზედაპირებზე წარმოქმნის მაღალი ხარისხის და განუმეორებელი შესახედაობის ეფექტებს.

თვისებები

- წყალხსნადი, გარემოსთვის უსაფრთხო და უსუნო
- სველი მოხეხვის კლასი 2
- საიმედო დამუშავება
- წყლის შემცველი სადებიზფექციო საშუალებების მიმართ მედეგი
- შეფერადება ColorExpress-სისტემით

საღებავის ბაზა

აკრილატის დისპერსია

შეფუთვა

2,5 ლ, 5 ლ.

ფერი

გამჭვირვალე, თეთრი ნაწილაკებით.
ArteLasur-ის შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-სისტემის ადაახლ. 350 ფერში, Caparol 3D-System plus-ზე დაყრდნობით. აქვე უნდა გაითვალისწინოთ, რომ ერთის მხრივ, ფერები არჩეული უნდა იქნას ColorExpress-სისტემის კოლექციიდან "CD ArteLasur", ხოლო მეორეს მხრივ, ლაზურის ტონალობა, მისი თვისებების, დატანის მეთოდის, ფენის სისქის და ქვემდებარე ზედაპირის ფერიდან გამომდინარე, განსხვავებული იქნება ორიგინალური 3D ტონალობისგან. ლაზურის ფერი და სასურველი გამჭვირვალება დგინდება სასინჯი დატანით.

სიპრიალის ხარისხი

გაშრობის შემდეგ აბრეშუმისებრი-მქრქალი.

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ, ყინვისგან დაცულ ადგილას.
შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე: დაახლოებით 1.0 გ/სმ³

გამოყენების
სფეროების განსაზღვრა,
ტექნიკური ინფორმაცია N. 606
- ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	○	-	-
(-) არ არის შესაფერისი / (○) შებლუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				



გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ინტერიერის კედლები და ქერი.
ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და თავისუფალი დამაცალკეველი ნივთიერებებისაგან.

Capadecor ArteLasur არ გამოიყენება ტუტების შემცველი ზედაპირებისთვის.

ზედაპირის მომზადება

PIV-ი ჯგუფის თაბაშირის ხსნარის და მზა ბათქაშები: დაიგრუნტოს Capadecor DecoGrund-ით. სინტერის აკვის მქონე თაბაშირის ბათქაშები დაიშლიფოს და გაიწმინდოს მტკრისგან, დაიგრუნტოს Caparol-Tiefgrund TB-ით.

თაბაშ-მუყაოს ფილები: შერჩენილი ფიფი გაშლიფეთ. რბილი ადგილები გაამყარეთ Caparol-Tiefgrund TB-ით. დაგრუნტეთ Capadecor DecoGrund, OptiGrund E.L.F. ან CapaSol LF-ით. იმ შემთხვევაში თუ თაბაშირმუყაოს ფილები შეიცავს წყალში ხსნად კომპონენტებს, დაგრუნტეთ Caparol Aqua-Sperrgrund-ით.

თაბაშირის სამშენებლო ფილები: შემწოვი ფილები დაგრუნტეთ OptiGrund E.L.F. ან Caparol-Tiefgrund TB-ით. გლუვ ზედაპირიანი ფილები დაგრუნტეთ ადჰეზიური Capadecor DecoGrund-ით.

ბეტონი: არსებობის შემთხვევაში მოაშორეთ განმაცალკეველი ნივთიერებების ნარჩენები. საჭიროების შემთხვევაში ზედაპირზე ტუტების შემცველობა შეამცირეთ ფლუატირების მეთოდით.

კირქვიშის ქვა და კერამიკული აგურის წყობა: წინასწარ შეამოწმეთ ზედაპირზე ტუტების შემცველობა და საჭიროების შემთხვევაში შეამცირეთ ფლუატირების მეთოდით.

მზიდუნარიანი დანაფარები: მქრქალი, ნაკლებად შემწოვი ზედაპირები შეღებეთ დაამუშავებლად. გლუვი და ლაქით დაფარული ზედაპირები გააუხეშეთ. დაგრუნტეთ Histolith® Weißgrund-ით.

არამზიდი დანაფარები: ხელოვნური ფისის, ლაქის, დისპერსიული საღებავების დანაფარები მთლიანად მოაშორეთ. სუსტად შემწოვი, გლუვი ზედაპირები დაგრუნტეთ Capadecor DecoGrund-ით. უხეშად ფოროვანი, ცარცვადი, შემწოვი ზედაპირები დაგრუნტეთ OptiGrund E.L.F -ით ან CapaSol LF-ით. მინერალური საღებავების გამოუსადეგარი დანაფარები მექანიკურად მოაცილეთ და განმინდეთ მტკრისგან. დაგრუნტეთ Caparol -Tiefgrund TB-ით.

დანაფარები წებოვანი საღებავით:

საფუძვლიანად ჩამორეცხეთ. დაგრუნტეთ Caparol-Tiefgrund TB-ით.

რელიეფური, ბოჭკოვანი, ტვიფრული ქაღალდის შეუღებავი შპალერი: შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე.

არამყარად მიმაგრებული შპალერი:

მთლიანად მოაცილეთ. წებოს და ქაღალდის ნარჩენები მოაშორეთ. დაგრუნტეთ Tiefgrund TB-ით.

ობმოდებული და სოკოთი დაზიანებული ზედაპირები: დაბინძურებული ადგილები განმინდეთ წყლით. ჩამორეცხეთ Capatox -ით ან FungiGrund-ით, კარგად გააშრეთ. შემდგომ დაფარეთ ზედაპირის შესაბამისი გრუნტით.

ნიკოტინის, წყლის, ქვარტლის და ცხიმიანი ლაქებით დაბინძურებული ზედაპირები:

ჩამორეცხეთ ცხიმის მოსაშორებელი საშუალებით (მაგალითად: ქურჭლის სარეცხი საშუალება), შემდგომ კარგად გააშრეთ. გამშრალ ზედაპირზე შემორჩენილი წყლის ლაქები გახეხეთ და განმინდეთ. პირველი ფენა წაუსვით Caparol AquaSperrgrund.

ხის ზედაპირები: წაუსვით წყალდისპერსიული, ეკოლოურად უსაფრთხო Capacryl Acryl-ის, ან Capacryl PU-ის ლაქები.

მცირე დეფექტები: გამოასწორეთ Caparol-Akkordspachtel-ით და შემდგომ დაგრუნტეთ.

მითითებები:

ზედაპირი არ უნდა შეიცავდეს ფერთა კონტრასტებს. კედლის ლაზურები წარმოადგენენ გამჭვირვალე მასალას, რომელიც ხელს უწყობს ქვემდებარე ზედაპირის ფერის და სტრუქტურის უკეთ წარმოჩენას. ღია ფერის ლაზურის და ძლიერ სტრუქტურირებული ზედაპირის შემთხვევაში, ლაზურში არსებული ღია ფერის ნაწილაკები შეზღუდულად ავლენენ ოპტიკურ ეფექტებს. კონტრასტული ეფექტი კარგად ვლინდება ღია ფერის გრუნტის ფენისა და ლაზურის შედარებით მუქი ტონალობის შემთხვევაში. ArteLasur-ის დატანა შესაძლებელია შეუფერადებულად, მუქი ფერის მქონე გრუნტის ზედაპირზე. კეთილშობილი ზედაპირების მიღება შესაძლებელია ArteLasur-ში ეფექტის გამაძლიერებელი პიგმენტების გარეშით. პიგმენტების მინარევის მოცულობა უნდა მერყობდეს 1 დან 5%-მდე. პიგმენტი პროდუქტთან საფუძვლიანად უნდა გადაეროს.

დაფარვის სტრუქტურა

შუალედური ფენა გლუვი ზედაპირის მისაღებად:
Capadecor DecoGrund

შუალედური ფენა სტრუქტურული ზედაპირის მისაღებად:
MultiStruktur Fein; სამუალო, უხეში ან ძალიან უხეში

საბოლოო ფენა:

ArteLasur-ი უნდა დაიტანოთ ქარხნული კონსისტენციით, ის არ საჭიროებს გამხსნელს. ლაზურის დატანა უმჯობესია რბილი ჯაგრისით (მაგ. ოვალური ჯაგრისით), მოკლე, ჯვარედინი მოსმებით. მოკლე დროის შემდეგ შესაძლებელია ზედაპირის გადასწორება შპალერის ჯაგრისით. სასურველი შესახედაობის მისაღებად შემდეგი ფენის დატანა შესაძლებელია "სველით-სველზე" ან პირველი ფენის გაშრობის შემდეგ. ლაზურის ორ ფენად დატანა ზრდის ფერის ინტენსივობას, ღია ფერის ნაწილაკების შემცველობას და ზედაპირის დატვირთვის უნარს. ArteLasur-ის შეუფერადებელი მეორე ფენა ზრდის ფერის ინტენსივობას და ღია ფერის ნაწილაკების შემცველობას.

		
გრუნტის და შუალედური ფენა დაიტანეთ ჯაგრისით ჯვარედინი მოსმით.	გაშრობის შემდეგ დაიტანეთ ArteLasur-ი ჯაგრისით ჯვარედინი მოსმით.	მოკლე დროის შემდეგ გადაასწორეთ მოკლებუნჯიანი, რბილი ჯაგრისით, ღია ფერის ნაწილაკების უფექტის გასაძლიერებლად.

გაითვალისწინეთ:

იმისათვის რომ თავიდან აირიდოთ გორგოლაჭის კვალის გაჩენა, უმჯობესია გრუნტის ფენა დაიტანოთ ჯაგრისით ან გორგოლაჭით დატანის შემდეგ გადაატარეთ მშრალი ჯაგრისი.

ხარჯი

დაახლ. 110-170 მლ/მ²/ერთ ფენაზე.

გამოყენების პირობები

მასალის, გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური ტემპერატურა: +5°C.

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია დაახლ 4 საათში.

ხელსაწყოები

სამუშაოების დამთავრებისთანავე გაირეცხოს წყლით.

მითითებები

ყურადღება

მოარიდეთ ბავშვებს. არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. დამუშავების და შრობის პროცესში იზრუნეთ შესაბამის განიავებაზე. კანთან ან თვალბინთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა.

შეიცავს 1,2-ბეზიზოთიაზოლ-3(2H)-ონს, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონს.
შესაძლებელია გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას, როგორც ლაქების ან საღებავის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი, როგორც გამხმარი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

VOC
(აქროლადი ორგანული
შენაერთების
ზღვრულიკონცენტრაცია
ევროკავშირის სტანდარტის
შესაბამისად)

პროდუქტის კოდი

შემადგენლობა

ტექნიკური კონსულტაცია

პროდუქტის კატეგორია (A/I): 200 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 50 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

BSW20

სინთეტიკური ფისი, ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, წყალი, დანამატები, კონსერვანტები.

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი.

შპს კაპაროლ ჯორჯია

აღ. ქართველიშვილის ქ. N8
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge